შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№8 (10.064)

18–25 მარტი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მრავალწლიანი მოლოდინი დასრულდა...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში, ახლადრეაბილიტირებული საბავშვო ბაღი ოფიციალურად გაიხსნა. საზღვირსპირა სოფელში წლების მანძილზე არ ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღი. საჯარო სკოლის შენობაში, პირველ სართულზე, მოეწყო საბავშვო ბაღისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით.

საბათლოს ახლადრეაბილიტირებული საბავშვო ბაღი კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა, პარლამენტის წევრმა, დავით სონღულაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ პაპიაშვილმა მოინახულეს. საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა, რომლის ჯამურმა ღირებულებამ 200 000 ლარი შეადგინა.

„ჩვენ საბათლოში ვიმყოფებით. აღმოსავლეთიდან, სწორედ ამ სოფლიდან იწყება ჩვენი ქვეყანა. ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. 32 წლიანი უბაღობის შემდეგ, სოფელში გაიხსნა საბავშვო ბაღი. შედეგად, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დედოფლისწყაროს ყველა სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქ დედოფლისწყაროშიც, ჩვენს პატარა მეგობრებს, ჩვენს შვილებს აქვთ თანაბარი პირობები და ყველას შეუძლია, რომ ძალიან მაგარ ბაღში მივიდნენ და მიიღონ სკოლამდელი განათლება. გილოცავთ, ჩემო კარგებო, და მადლობა ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ საქმის განხორციელებაში“ – აღნიშნა საბავშვო ბაღის გახსნის ცერემონიაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.**

ირმა ჯანაშვილი ***(დედოფლისწყაროს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი):*** „უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე საზღვრისპირა სოფელში ახლადგახსნილი ბაღი გათვლილია 25 აღსაზრდელზე. სრული დატვირთვით ჯერ არ ამოქმედებულა, მაგრამ რამდენიმე თვეში ნაკადი გაიზრდება. ამ ეტაპზე საბავშვო ბაღში ფუნქციონერებს ერთი შერეული ჯგუფი 7 აღსაზრდელით. უახლოეს მომავალში კიდევ 4 ბავშვის მიღების მოლოდინი გვაქვს. პერსონალს სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაცია აქვს. ისინი გასული თვეების განმავლობაში გადამზადდნენ ახალი სკოლამდელი მეთოდებისა და სწავლების სტანდარტების შესაბამისად. ახლადდასაქმებული თანამშრომლები ცენტრის სააღმზრდელო და სასწავლო პროცესის კურატორის, ცენტრის დირექტორის მოადგილის და ქედების ზონის მეთოდისტის მიერ დატრენინგდნენ. ავეჯი, ინვეტარი, სასწავლო წიგნები, ელექტროტექნიკა და სათამაშოები სააღმზრდელო ცენტრმა შეიტანა. ამ საზეიმო დღის კიდევ უფრო გასალამაზებლად და პატარების გულის გასახარად მოვიწვიეთ ბავშვთა გასართობი ცენტრ „ბუბუტას“ ანიმატორები „კუნინძა“ და „მტირალა თოჯინა“, გარემოს გაფორმებაზეც სააღმზრდელო ცენტრმა იზრუნა“.

სოფელ საბათლოს საბავშვო ბაღის დირექტორი **მელინა აღაჯანიანი** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ 34 წლის წინ ის ამ სოფელში დაიბადა და გაიზარდა, თუმცა საბავშვო ბაღში არასოდეს უვლია, რადგან სოფელში ბაღი არ იყო.

მელინა აღაჯანიანი ***(საბათლოს საბავშვო ბაღის მენეჯერი):*** „საბათლოში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ საბავშვო ბაღში მე და ჩემს თაობას არ გვივლია, იმ დროს ამ სოფელში ბაღი აღარ იყო. მას შემდეგ მრავალი თაობა გაიზარდა ბაღის გარეშე. ეს საკითხი წლების მანძილზე ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის აუხდენელ ოცნებად დარჩა. ვიდრე ბაღში გადმოვიდოდი, მანამდე ექვსი წლის განმავლობაში, სოფელ საბათლოს საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად ვმუშაობდი. ბავშვებთან ურთიერთობა ჩემი პროფესიაა და მიმაჩნია, რომ ეს საქმე ჩემთვის ძალიან ახლობელია. მშობლები წლები გამოხატავდნენ სურვილს, რომ სხვა სოფლების მსგავსად, საბავშვო ბაღი ჩვენთანაც ყოფილიყო და შვილების მიყვანის შესაძლებლობა მათაც ჰქონოდათ. მცირერიცხოვანი სოფელია, მაგრამ ვისაც პატარები ჰყავთ, დიდი მოლოდინი ჰქონდათ და მთელი გულით ელოდნენ ამ დღეს. სრულიად ახალი ავეჯი და სათამაშოები შემოიტანეს, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა გადმოგვეცა. ამჟამად 7 ბავშვი და 7 თანამშრომელი ვართ. აღმზრდელი, მისი თანაშემწე, მზარეული, მზარეულის თანაშემწე, ექთანი და დამლაგებელი. არიან სხვა ბავშვებიც, რომლებიც მალე შემოვლენ ჩვენს ბაღში. ერთი ოჯახი დროებით სომხეთში იმყოფება და რამდენიმე თვეში დაბრუნდებიან, მათი შვილი ჩვენთან დარეგისტრირდება. მაისსა და სექტემბერში რამდენიმე ბავშვი დაგვემატება. საკმაოდ დიდი ოთახია და მზად ვართ ყველა მსურველი მივიღოთ. შესაძლებელია ჯგუფების გაყოფის საჭიროებაც დადგეს. საკმაოდ კეთილმოწყობილი ოთახებია და უმაღლესი სტანდარტებით აღჭურვილი გარემო გვაქვს, აქ ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ ბავშვების აღზრდა-განვითარებაზე ვიზრუნოთ. ძალიან უჭირდა ოჯახებს, ხშირი იყო მიგრაციაც, სოფელი იცლებოდა. ახლა, როცა საბავშვო ბაღი გაიხსნა, ამის შემდეგ ახლადშექმნილი ოჯახები ეცდებიან ადგილზე დარჩნენ, შვილები ჩვენთან შემოიყვანონ, თავისუფალ დროს კი იმუშაონ და სხვა საქმით დაიტვირთონ. სოფლისთვის საბავშვო ბაღის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია. მითუმეტეს მაშინ, როცა ზრდასრულები სოფლის მეურნეობას მისდევენ, ხშირად მინდორში არიან“.

„ვინც ჩვენი სოფელი და მისი მდებარეობა იცის, ისიც ემახსოვრება, 10 წლის წინ როგორი გზა იყო, დედოფლისწყაროდან აქ ჩამოსასვლელად სამი საათი გვჭირდებოდა, რაიონულ ცენტრთან კავშირსაც ვერ ვახერხებდით, გზაზე მანქანა რამდენჯერმე გვიფუჭდებოდა, ან გუბეებსა და ტალახში ვარდებოდა. ხალხი გაწამებული იყო, „დაწყევლილ გზას“ ეძახდა, ამიტომაც აქ ჩამოსვლა არავის უყვარდა. არც სტუმარი მოდიოდა და არც ხელისუფლება. რამდენიმე წელია გზაც გაკეთდა და საყოფაცხოვრებო პირობები შედარებით გაუმჯობესდა. სკოლაც ახლახან განახლდა, მოძველებულ შენობას საფუძვლიანი რემონტი ჩაუტარდა და საბავშვო ბაღის გახსნაც დიდი შვება იქნება ახალგაზრდებისთვის. მეზობლად სხვა სოფელიც არ გვაკრავს, რომ იქ მაინც გვეტარებინა ბავშვები, სხვა გზა არ იყო, ამიტომაც სახლში იზრდებოდნენ, ბევრი თაობა იყო ასე... რაც ახლა კეთდება, ამდენი რამ აქ არასოდეს გაკეთებულა,“ - ამბობენ ადგილობრივები.

სოფელი საბათლო ქალაქ დედოფლისწყაროდან 70 კილომეტრითაა დაშორებული და მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. 1918 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მუსავატელებმა 36 სოფლის სომხური მოსახლეობა აყარეს და ბედის ანაბარა დატოვეს. ლტოლვილ სომეხთა დიდი ნაწილი 1922 წელს მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეს წითელწყაროში ჩამოსახლდა.

დასახლებას მათ თავიანთი მშობლიური სახელი, საბათლო უწოდეს, ხოლო, რადგან ამ დროს წითელწყაროც ახალი გასაბჭოებული იყო, შემდეგ სოფელს წითელი საბათლო დაარქვეს. ბოლო მონაცემებით საბათლოში 2014 წლისთვის 400-მდე ადამიანი ცხოვრობდა, ადგილობრივთა 75% სომეხია.

ილია მარტყოფლიშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების საქმეთა სახელმწიფო მდივანს ჯეიმს კლევერლის შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობასა და პოლიტიკური დიალოგის მაღალ დონეს. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ჯეიმს კლევერლის საქართველოში ვიზიტი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების პოზიტიურ დინამიკას უსვამს ხაზს.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული „უორდროპის სტრატეგიული დიალოგი“, რომელიც ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის მთელ სპექტრს მოიცავს და კიდევ უფრო განამტკიცებს სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას. ხაზი გაესვა სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის პოტენციალის სრულად ათვისების მნიშვნელობას. მთავრობის მეთაურმა ჯეიმს კლევერლის გაერთიანებული სამეფოს მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერისთვის, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებისა და დემოკრატიული განვითარების საქმეში მისი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. განსახილველ საკითხებს შორის ასევე იყო რეგიონსა და მსოფლიოში არსებული უსაფრთხოების გარემო და გამოწვევები. ხაზი გაესვა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებაში საქართველოს მნიშვნელოვან როლს.

შეხვედრას დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის დირექტორატის დირექტორის მოადგილე ჯასტინ ჯეიმს მაკენზი სმიტი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში სოფიო ქაცარავა ესწრებოდნენ.

პარლამენტმა სახალხო დამცველად ლევან იოსელიანი აირჩია

პარლამენტმა სახალხო დამცველად ლევან იოსელიანი აირჩია. საკანონმდებლო ორგანომ სახალხო დამცველის თანამდებობაზე წარდგენილ ლევან იოსელიანის კანდიდატურას სხდომაზე უყარა კენჭი. კენჭისყრის შედეგად, ლევან იოსელიანის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 96-მა დეპუტატმა, წინააღმდეგ არცერთი წავიდა.

ლევან იოსელიანი სახალხო დამცველობის კანდიდატად პარტია „მოქალაქეებმა“ წარადგინა. თავდაპირველად სახალხო დამცველის თანამდებობაზე 19 კანდიდატი შეირჩა, თუმცა მხარეებმა საერთო კანდიდატზე შეთანხმება ვერ შეძლეს. პლენარულ სხდომაზე გამართულ კენჭისყრაზე 19-ვე კანდიდატი ჩავარდა.

ლევან იოსელიანი 1978 წელს თბილისში დაიბადა. ჰყავს მეუღლე თეა ნასარიძე და 3 შვილი.

ლევან იოსელიანი 2020 წლიდან არის საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ალეკო ელისაშვილი — მოქალაქეები“, 2021 წლიდან — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. იოსელიანმა 2000 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი. მიიღო მაგისტრის ხარისხი ჩიკაგოს კენტის სამართლის სკოლაში. 1999-2000 წლებში იყო „საქართველოს ბანკის“ იურისტი, 2000-2001 წლებში — „თიბისი ბანკის“ მთავარი იურისტი. 2008-2016 წლებში იყო „ლევან იოსელიანის იურიდიული კომპანიის“ იურისტი, 2018-2020 წლებში — ააიპ „საქართველოს სამოქალაქო მოძრაობის“ აღმასრულებელი დირექტორი.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, სოლომონ ღორაშვილთან ერთად მიმდინარე სამუშაოები ხორნაბუჯში, ჭოეთში, არბოშიკში და მირზაანში დაათვალიერა.

სოფელ ხორნაბუჯში ჩოლოყაშვილის და დუმბაძის ქუჩის შესახვევებში, ასევე საბავშვო ბაღთან მისასვლელ საავტომობილო გზებზე ასფალტის საფარი ეწყობა, ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს ჭოეთის დასახლებაში მისასვლელ საავტომობილო და მირზაანში ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის მისასვლელ გზებზე, ხოლო სოფელ არბოშიკში ზემო მაჩხაანის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედელი ეწყობა.

სამუშაოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ახორციელებს.

დედოფლისწყაროს მზა საკვების საწარმო ყველაზე დიდ საერთაშორისო გამოფენაზე

დედოფლისწყაროს სოფელ გამარჯვებაში მოქმედი მზა საკვების მწარმოებელი კომპანია „სადილი“ საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობდა და დედოფლისწყაროში წარმოებული პროდუქტი დიდ ქვეყნებს გააცნო.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის მიმართულების ორგანიზებით, 20-24 თებერვალს, 25 ქართული კომპანია იღებდა მონაწილეობას სასმელი და საკვები პროდუქციის ყველაზე მასშტაბურ გამოფენაში Gulfood 2023.

როგორც ორგანიზატორებმა გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, წელს, სააგენტოს მხრიდან დიდხნიანი მოლაპარაკებების შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოსთვის გამოყოფილი სივრცის მნიშვნელოვნად გაზრდა, რამაც გამოფენაზე დამსწრე კომპანიების რიცხვის გაზრდა განაპირობა. USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მხარდაჭერით, ქართულმა კომპანიებმა B2B შეხვედრები გამართეს საერთაშორისო კონსულტანტის მიერ შერჩეულ შემსყიდველებთან.

„ჩვენი მიზანია დავამყაროთ ახალი ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნებთან და ბიზნესებთან, გავაცნოთ უნიკალური ქართული პროდუქტი, ჩვენს მიერ წარმოებული, ნაციონალური კერძების კონსერვები,“ - აცხადებენ კომპანიაში.

ჟურნალისტიკა - სამართლიანობისთვის ბრძოლის სადარაჯოზე

21 მარტი - ქართული ჟურნალისტიკის დღე

რეზო ინანიშვილი წერდა: მწერლისთვის მხოლოდ დარაჯის ადგილი დარჩა და მასაც დარაჯივით უმწეოდ აქვს ხელები გაშლილიო. ოთარ ჭილაძემ მწერალი დავიწყებული ცოდნის საფლავზე დარგულ იმ ხეს შეადარა, ადგილის ხსოვნა რომ ევალება. ხსოვნის დარაჯობაა დღევანდელი ჭეშმარიტი ლიტერატურის დანიშნულება; იმ მარადიული ფასეულობების გახსენებაა, რასაც ადამიანად ყოფნა ჰქვია.

რა განსხვავებაა ჟურნალისტიკასა და მწერლობას შორის? როგორც ამბობენ, ჟურნალისტებს დრო არ ჰყოფნით, დიდი ზომის ნაწარმოებები შექმნანო. თუმცა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ჟურნალისტიკის მიზანიც, მწერლობის დარად, ეპოქის ზუსტი სურათის აღწერაა, თავისი შუქ-ჩრდილებით.

მაინც როგორი უნდა იყოს ნამდვილი ჟურნალისტი? თუ პროფესიულ სტანდარტს დავესესხებით – ობიექტური, მოუსყიდვი, ჰუმანისტი, საქმეზე უზომოდ შეყვარებული, ჟურნალისტებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მათაც გააჩნიათ ადამიანური სისუსტეები, თავიანთი პირადი სიმპატიისა თუ ანტიპათიის ჩათვლით, მაგრამ ეს არ უნდა შეეხოს იმ პროდუქტს, რომელსაც ის ქმნის. სწორედ ესაა დღევანდელი სამყაროს გამოწვევა-არ გაიყიდო და არ იყო სუბიექტური მასალის მომზადებისას.

მთავარი ორიენტირი აქაც ადამიანის ბედი უნდა იყოს, უნდა განსაზღვრო, რამდენ ადამიანს დააზიანებს ან შეუმსუბუქებს ცხოვრებას შენი სტატია, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე უარის თქმაც უნდა შეძლო.

მაინც სად გადის ზღვარი ყვითელ ჟურნალისტიკასა და აკადემიურობას, სიკეთესა და განზრახ ბოროტებას შორის? ეს დღეს საკმაოდ აქტუალური კითხვაა.

ადამიანს თავისუფლების განცდა მომხვეჭელობასა და სხვის განადგურებაში თუ აერია, დაეკარგება ადამიანობის განმსაზღვრელი სასიცოცხლო იმპულსები. თავისუფალი ნება და იძულებითი მოვალეობა ერთმანეთისგან უნდა განირჩეს, ეს კი საკუთარ ვნებებთან, სურვილებთან მუდმივ ბრძოლაში გამოიხატება.

ამავე აზრს ავითარებდა ილია ჭავჭავაძეც. ილიას აზრით, ჟურნალისტიკას ორი დანიშნულება აქვს. ერთის მხრივ ის არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის, ანუ, არის საზოგადოებაში ცოდნის გამავრცელებელი. მეორეს მხრივ კი, ის არის სარკე საზოგადოების რთული ცხოვრებისა. ის ასახავს ყოველდღიური აზრის „მიდენ-მოდენას“ ანუ ჟურნალისტიკა უნდა ემსახურებოდეს ხალხის აზრის, მათი დამოკიდებულების, სურვილების, მისწრაფებების და გემოვნების გაჟღერებას.

„იგი საზომია ცხოვრების მოთხოვნილებისა და საჭიროებისა, იმოდენად იგი საშუალებაა, რომლის ძალითაც თვით საზოგადოება თვისით ცხოვრების საკავეს ხელთ იპყრობს და ცხოვრების თვით-რჯულს დენას საკუთარ თაოსნობას უმორჩილებს.“

ჟურნალ-გაზეთობამ საზოგადოების ჭკუა და გონება უნდა აღზარდოს, უნდა ააღორძინოს საზოგადოების თვით-მოქმედობითი ძალა.

ილია ასევე ეხება კრიტიკულ ჟურნალისტიკასაც და ცდილობს განსხვავება დაგვანახოს კრიტიკასა და ლანძღვა-გინებას შორის. „წუნის დადება და ლანძღვა-თრევა შორის-შორია, შუა დიდი მანძილი უდევთ. განა ცუდს ცუდი, ავს ავი არ დაერქმის ადამიანის ღირსების შეულახებლად, ადამიანის გაულანძღველად, თავლაფ-დაუსხმელად?“

ილიას აზრით საზოგადოებისთვის პირველი წამალი პირში სიმართლის თქმა უნდა იყოს. ისე, რომ არ შურაცხყო ადამიანის ღირსება. კრიტიკა კარგ რჩევად უნდა გადავაქციოთ და მერე ცხოვრება გაცილებით გამარტივდება.

ილია უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ჟურნალისტიკას. მას შეუძლია შეცვალოს ადამიანის ცნობიერება, ცხოვრება, მოსაზრებები... განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ამ პროფესიის ადამიანი საქმეს და ეცადოს, მუდმივად იზრუნოს საზოგადოების თვალსაწიერის გაფართოებაზე, გემოვნების დახვეწასა და განათლების დონეზე.

ინფორმაცია მსოფლიოში ყველაზე ძვირად ფასობს. მასზე არსებობს კოლოსალური მოთხოვნილება, რადგან ინფორმაცია და მისი გაცვლა არის საწყისი ყველა ადამიანური ურთიერთობისა. მსოფლიოში არსებულ ინფორმაციებს სჭირდება თავმოყრა და იმ სახით მიწოდება საზოგადოებამდე, რომ მათთვის მარტივად გასაგები იყოს. ჟურნალისტია ის, ვინც ინფორმაციების კორიანტელში უზრუნველყოფს მცდარისა და ჭეშმარიტის ერთმანეთისაგან გამიჯვნას, მათ დახარისხებას და მიწოდებას მოსახლეობამდე იმ სახით, რომ საზოგადოებამ შეძლოს ჯანსაღი აზრის გამოტანა. ჟურნალისტიკა საკმაოდ თანამედროვე სფეროა, რადგან იგი თან ერთვის ინტერნეტისა და მასობრივი კომუნიკაციების დანერგვას მსოფლიოში. თუმცა, ისტორია იცნობს არაერთ შემთხვევას, რომელსაც შეგვიძლია კლასიკური გაგებით ჟურნალისტის საქმიანობა ვუწოდოთ.

ჟურნალისტიკის განვითარებას საფუძველი ჯერ კიდევ ძველ რომში ჩაეყარა. ქალაქის ცენტრალურ მოედნებზე იკვრებოდა აფიშა, რომელიც სხვადასხვა სახის ინფორმაციას აწვდიდა მოსახლეობას. მან გზა გაუკვალა ე.წ. „პროკლამაციებს“, რომელიც ერთ-ერთ მწვავე იარაღად იქცა იმ ინფორმაციის გავრცელებისა, რის დამალვასაც საზოგადოება სასოებით ცდილობდა. ასევე საინტერესოა შიკრიკების საქმიანობაც, მათი ძირითადი მოვალეობა ხომ ინფორმაციის გავრცელება იყო. ამ საკმაოდ საინტერესო ისტორიული რაკურსის შემდგომ კი დადგა XX საუკუნე, ეპოქა მასობრივი კომუნიკაციების განვითარებისა. სწორედ ამ დროს მოძლიერდა ჟურნალისტიკის პროფესიული საქმიანობა, რადგან ინფორმაციების ქარ-ცეცხლში სწორედ მათ შეძლეს ეპოვათ მიჯნა - დემაგოგიასა და სიმართლეს შორის.

ჟურნალისტიკას „მოდარაჯე ძაღლს“ უწოდებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველანაირ გადაცდომას უნდა დაუდარაჯდე და ამხილო. ამ ფლაგმანზე ყოფნა ჟურნალისტიკის პირდაპირი ვალდებულებაა. წერილის ბოლოს კვლავ რეზო ინანიშვილს დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ „ჟურნალისტიკა ქვეყნის ერთგულ დარაჯად უნდა დარჩეს, რათა მომავალ თაობას შეუნახოს სწორედ ნამდვილი ამბებით აკინძული დაუმახინჯებელი ისტორია.“

ინგა შიოლაშვილი

„გაზაფხულზე, აყვავილდა ნუში...“

ალბათ, არ არსებობს წელიწადის სხვა დრო, რომელიც ადამიანში სიახლის ისეთ მოლოდინსა და იმედს აღძრავდეს, როგორსაც გაზაფხულის დადგომა იწვევს. ბუნება იღვიძებს, ყვავილობა იწყება, სასიამოვნო სურნელი და სითბო ადამიანებს გარეთ გასვლისკენ უბიძგებს. გაზაფხული ხომ სილამაზისა და მაცოცხლებელი ენერგიის შემომტანია.

სწორედ გაზაფხულის დღესასწაულებისადმი მიძღვნილ ქალთა კვირეულის ფარგლებში ჩატარდა კიდევ ერთი ღონისძიება ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა - დარბაზში სრული დასწრება, ზღვა ემოციები, ხალასი განწყობა. დიდსა თუ პატარას ყველას თანაბრად შეეხო თითოეული ლექსი, დადგმა, სიმღერა თუ ქორეოგრაფია, რომელიც ქალებს - დედებს, დებს, ბებიებს ეძღვნებოდა.

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული თეატრის „ბერიკონი“ (ხელმძღვანელი ქ-ნ ცარო მარტიაშვილი), ვოკალური ანსამბლი „ედელვაისის“ (ხელმძღვანელი: ნინო ნიკვაშვილი),ვოკალურ-საკრავიერთა ანსამბლის (ხელმძღვანელი: გელა გველუკაშვილი), ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ (ხელმძღვანელი: ხვიჩა ზუბიაშვილი), ასევე ქორეოგრაფიული ჯგუფების - „ვარსკვლავებისა“ (ნათია ცინცაძე) და „ცეროდენას“ ნორჩი თაობები.

ქართული საესტრადო თუ ქალაქური სიმღერების პოპურმა, ბავშვების საოცარი ენერგიით დამუხტულმა ცეკვებმა და გულიდან წამოსული ემოციებით შესრულებულმა ლექსებმა, მაყურებელში განსაკუთრებული ემოცია გამოიცვია, დარბაზი ოვაციებით ხვდებოდა და აცილებდა თითოეულ ნომერს. ოვაციები ხელმძღვანელებთან ერთად ბავშვებს და ახალგაზრდა თაობას ეკუთნოდა, ვინც განსაკუთრებული მონდომებითა და სილაღით მიულოცეს ქალბატონებს გაზაფხულის დღესასწაულები.

საღამო ანსამბლმა „გიორგელებმა“ ცეკვა „ხორუმით“ დაასრულეს, რომელიც განსხვავებული ინტერპრეტაციით იყო შესრულებული. საქართველოს დროშით ნომერი დაასრულა ანსამბლის წევრმა გოგონამ, რასაც გულმხურვალე აპლოდისმენტები მოჰყვა.

„ძველად თურმე, როცა მტრების
უთვალავი ჯარები
მოდიოდნენ, რომ გაეღოთ საქართველოს კარები,
მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ,
ვით ფოლადის ფარები,
და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები.
ისე მტკიცე იყვნენ თურმე, ვით მეტეხის კედელი,
გმირი თამარ ვაშლოვნელი და მაია წყნეთელი“.

სითბოს, სიკეთეს და სიყვარულს გისურვებთ ყველას. ქართველი ქალი მუდამ იდგა სამშობლოს სადარაჯოზე, მუდამ ესმოდა საკუთარი ქვეყნის. იყავით ძლიერები, ლამაზები, გამორჩეულები. ეს დღე, ეს დღესასწაულები თქვენია ქალბატონებო - ჩვენო დედებო, დებო, ბებიებო. კიდევ ერთხელ გილოცავთ“ - აღნიშნა ღონისძიების დასასრულს წამყვანმა, ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორმა ცარო მარტიაშვილმა.

გაზეთი „შირაქი“ გილოცავთ სიხარულისა და იმედის დღესასწაულებს, ჩვენო ქალბატონებო. იყავით ლაღები, ბედნიერები, გამბედავები და წარმატებულები. ყველა მოლოდინისა და იმედის გამართლებასა და ასრულებას გისურვებთ.

„შენი თვალებით ვხედავ სამყაროს...“

„დედა – ეს ის სიტყვაა, რომელიც ყველა ენაზე ერთნაირი სინაზით ჟღერს. ეს არის სასწაული, რომლის შეცნობასაც ჩვენ დაბადებიდანვე ვიწყებთ. შენ ხარ ჩემი სული, გული, სილამაზე, მზე და უდიდესი სიყვარული. დე, დედიკო, დედა – შენი რწმენით სავსე ლოცვით, მადლით სულ თან მდევს , მაძლიერებს, სითბოდ მოდის. დე, დედიკო, დედა“ – ამ სიტყვებით დაიწყო 13 მარტს, ზემო ქედის კულტურის სახლში გამართული საგაზაფხულო კონცერტი, სადაც სოფლებისზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედისა და სამთაწყაროს თვითმოქმედი კოლექტივები, ქორეოგრაფიული ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები იღებდნენ.

ღონისძიების დასაწყისში წამყვანმა სცენაზე მოიწვია და სიტყვა გადასცა მამუკა ყავრელიშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის უფროსს: „ამ უმშვენიერეს დღეს, მე მინდა უპირველესად, გაზაფხულის დადგომა მოგილოცოთ. დედის დღე, ქალბატონების ულამაზესი დღე. იმედი მაქვს, რომ ყველა კმაყოფილი დარჩება ჩვენი ულამაზესი კოლექტივების შემოქმედებით, დიდი მადლობა მობრძანებისთვის“ - აღნიშნა მან და ღონისძიებაც სწორედ ამ განწყობით წარიმართა, გაზაფხულის დადგომით გამოწვეული სიხარულით, ბედნიერებითა და სითბოთი.

ერთობლივ ზეიმზე, რომელმაც 4 სოფელი და არამარტო სოფელი, გაერთიანა, შემოქმედი კოლექტივები კიდევ ერთხელ მოეფერნენ ქალბატონებს, დედიკოებს. ღონისძიება გახსნა ჯუმბერ ლეჟავას მეცნიერებათა აკადემიის წევრმა და პატარა ჩოხოსანმა, გიორგი ქენქაძემ ლექსით დედაზე, რომელსაც დარბაზმა საოცარი ემოციებით უპასუხა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: ქვემო ქედის გოგონათა ანსამბლი „მზის სხივი“ (ხელმძღვანელი: თამარ კობაიძე), ზემო ქედის კულტურის სახლთან არსებული მუსიკალური სკოლის მოსწავლე თათია ბუნტური, სამთაწყაროს მოცეკვავეთა ჯგუფი (ხელმძღვანელი: ნოდარ შაინიძე), პატარა მომღერალი მარიამ ჩოხელი, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული სიმღერისა და გალობის სკოლის ქედების სოფლების გუნდი, სამთაწყაროს პატარა მედოლეები, ზემო ქედის მომღერალთა გუნდი, ქვემო ქედის ანსამბლი „თაობა“ (ხელმძღვანელი: თამარ კობაიძე), პატარა მელექსე ზემო ქედიდან - მარიამ ქავთარაძე, სამთაწყაროს ბავშვები მუსიკალური მელოდიებით, ზემო ქედის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ჯგუფი, ზემო ქედის კულტურის სახლის პატარა აღსაზრდელი - ელენე ჩოქური, ლექსით „აღმომაჩინე“, არხილოსკალოს ბავშვები ინსცენირებით „ყვავილები“.

რა თქმა უნდა, თითოეული გამოსვლა ოვაციებითა და აღფრთოვანებით გამოირჩეოდა, მაგრამ მართლაც, რომ საღამოს აღმოჩენა იყო ელენე ჩოქური თავისი ლექსით „აღმომაჩინე“. მისმა გამოსვლამ დარბაზი საოცარი ენერგიით აავსო. ბავშვურმა სილაღემ, ბედნიერებითა და სითბოთი წარმოთქმულმა თითოეულმა სიტყვამ მაყურებლის გულებამდე მიაღწია და იქ ადგილი სამუდამოდ დაიკავა.

აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული სიმღერისა და გალობის სკოლის ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის გუნდები პირველად წარსდგნენ ადგილობრივი მსმენელის წინაშე. მათ შეასრულეს სხვადასხვა ჟანრის ფოლკლორული ნიმუშები. „წარმატებებს ვუსურვებთ დედოფლისწყაროს ჰ. გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხურო სიმღერის სკოლის, ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის გუნდს. დიდი მადლობა ჩვენი სკოლის დირექტორს, ქ-ნ ლალი აზარიაშვილს, ბ-ნ ილია დათუაშვილს, ქ-ნ თამარ თამაზაშვილს, ირმა პაპიაშვილსა და სკოლის ყველა პედაგოგს მხარდაჭერისთვის“ - აღნიშნულია სკოლის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

„ჩემი გაზაფხული მაშინ დაიწყო, როცა არხილოსკალოში თვალებციმციმა და ინტერესიან პიროვნებებს შევხდი. დედოფლისწყაროს რამდენიმე სოფლიდან.. ეს იყო 2022წლის 18 ივნისი. ვიყვავილეთ ერთმანეთის სიყვარულით, მეგობრობითა და თანამღერით.. მრავალხმიანურ აზროვნებამდე კი თანადგომამ მიგვიყვანა. მას შემდეგ თქვენთან ყოველი შეხვედრა, ჩემთვის - გაზაფხულის მოსვლა და ახალი ენერგიებით შევსებაა. მადლიერი ვარ თქვენ რომ მყავხართ.. მადლობა დათო ცინცაძეს, თამარ თამაზაშვილს, ლალი აზარიაშვილს, ირმა პაპიაშვილსა და სოსო კობახიძეს“ - აღნიშნა გუნდების ხელმძღვანელმა, ანა ლოლაშვილმა.

საგაზაფხულო ღონისძიებებზე თვალხატულა გოგო-ბიჭებმა იცეკვეს, იმღერეს, ლექსებიც თქვეს. ხალისიანმა და ამაღელვებელმა სანახაობებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ მოდის ძლიერი, ლაღი და თავისუფალი თაობა, მოდის ღირსებით და მათი დაფასებით, მათი, ვინც ისინი აღზარდა, სამყაროსა და მსოფლმხედველობას აზიარა, სწორისა და არასწორის, შავისა და თეთრის გარჩევა ასწავლა. მადლობა დედებო, ქალბატონებო, ყველა დღისა და ღამისთვის, რომელიც შვილების გამო გითენებიათ, უამრავი დახარჯული დროისა და ენერგიის გამო, რომელიც მათი მომავლისთვის დაუნანებლად გაგიღიათ, იმ უშრეტი ენერგიისთვის, რომელიც დღემდე არავინ იცის, საიდან მოდის ან სად მიდის. იყავით ძლიერები, ჯანმრთელები, ბედნიერები. ყველა დღე თქვენია!

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ჰერეთში მცხოვრები ქართველი ბავშვების სასწავლო პირობებს განათლების მინისტრი და დეკანოზი პეტრე გაეცნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი,** აზერბაიჯანის მეცნიერებისა და განათლების მინისტრის **ემინ ამრულაევის** მიწვევით, სამუშაო ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იმყოფებოდა. მინისტრი ისტორიულ ჰერეთს ეწვია და იქ მცხოვრები ქართველების სასწავლო პირობებს გაეცნო.

ვიზიტის ფარგლებში ორი ქვეყნის მინისტრები კახის მე-2 ლიცეუმს ესტუმრნენ და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი STEAM-ცენტრი გახსნეს.

ჩვენს ეპარქიაში შემავალი კახის რაიონის მე-2 ლიცეუმში ქართულენოვანი სექტორი ფუნქციონირებს, სადაც 103 ქართველი მოსწავლე იღებს ზოგად განათლებას. ამ ეტაპზე ქართულენოვანი სექტორის მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესს 22 ქართველი მასწავლებელი უძღვება.

აზერბაიჯანში ვიზიტის ფარგლებში მიხეილ ჩხენკელმა, ემინ ამრულაევთან ერთად, სოფელ **ალიბეგლოს შოთა რუსთაველის სახელობის სრული საშუალო ქართულენოვანი სკოლაც დაათვალიერა, სადაც 160 ქართველი მოსწავლე იღებს განათლებას და 32 ქართველი მასწავლებელია დასაქმებული.**

აღსანიშნავია, რომ სასწავლებელი 2019 წელს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის დაფინანსებით აშენდა და იქ ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ალიბეგლოში მცხოვრებმა ქართველმა ახალგაზრდებმა განათლება მშობლიურ ენაზე მიიღონ. აქვთ ქართულენოვანი სახელმძღვანელოებიც. პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ალიბეგლოს მილიონიანი-ღირებულების ახალ სკოლას ჯერ კიდევ 2017 წელს დაპირდა.

სკოლებში ვიზიტისას მინისტრებთან ერთად ასევე იმყოფებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში **ზურაბ პატარაძე**. შეხვედრებს ესწრებოდა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ქართველი სასულიერო პირი, კახის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი **დეკანოზი პეტრე ხუმარაშვილი**.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ისტორიული ჰერეთის ქართულ სოფლებში მცხოვრებ ოჯახებს შვილებისთვის ქართული სახელის დარქმევისა და მათი რეგისტრაციის დროსაც პრობლემები ექმნებოდათ. იკრძალებოდა ქართულენოვანი წიგნებისა თუ რელიგიური ლიტერატურის და ხატების შეტანა. ზაქათალასა და კახში გამართულ ქართულ ღონისძიებებზე აკრძალული იყო ქართული დროშის და წარწერების გამოჩენა. ამგვარი შემთხვევები 2011 წლამდე ფიქსირდებოდა და პრესაშიც იწერებოდა. ამ ფონზე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამჯერად, მინისტრის ვიზიტის პარალელურად ქართული დროშებიც ფიგურირებდა, მოსწავლეებს მერხზე ქართულენოვანი სახელმძღვანელოებიც ეწყოთ და კედლებზე ქართული აფიშები და აბრებიც იყო გამოფენილი.

სკოლის დირექტორობის მსურველი 1 841 კანდიდატიდან ბარიერი 755-მა გადალახა

20 მარტიდან სკოლის დირექტორობის მსურველთა გასაუბრების პროცესი დაიწყება. თარიღი კანდიდატებს ინდივიდუალურად ეცნობებათ. ამის შესახებ განათლების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა განაცხადა.

საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირების პირველი ეტაპის ტესტირების შედეგები განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ 6 მარტს გამოაქვეყნა. დირექტორობის მსურველები, რომლებმაც წარმატებით გადალახეს საგამოცდო ზღვარი, ახლა მეორე ეტაპის - გასაუბრების მოლოდინში არიან. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით ირკვევა, რომ 1 841 აპლიკანტიდან ზღვარი გადალახა და მომდევნო, გასაუბრების ეტაპზე სულ 755 დირექტორობის მსურველი გადავიდა.

„შირაქის“ ინფორმაციით, ვერ დგინდება ჩვენი მუნიციპალიტეტიდან რეგისტრირებულ კანდიდატთა ზუსტი ოდენობა, თუმცა დადასტურებულია, რომ გამსვლელი ქულების მოგროვება დედოფლისწყაროდან მხოლოდ ორი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა შეძლო - ესენი არიან ზემო ქედის №2 სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **თამარ ნებიერიძე** და ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **თამარ ქეთელაური.** ასევე ჩაიჭრა ორი კანდიდატი, ქვემო ქედსა და მაჩხაანში.

რამდენიმე დედოფლისწყაროელმა კანდიდატმა სოციალურ ქსელში ღიად დააფიქსირა, რომ ბარიერი გადალახა და შემდეგ ეტაპზე გადავიდა. ნაწილმა კომენტარი გაზეთ „შირაქთანაც“ გააკეთა.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში „შირაქს“ ეუბნებიან, რომ დედოფლისწყაროს ექვსი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გამოცდების დაწყებამდეც ფლობდნენ სერტიფიკატს და ამჯერად საგამოცდო პროცესი მათ არ შეეხოთ, ვინაიდან, მათ ეს ეტაპები რამდენიმე წლის წინ გაიარეს.

სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლიდან დირექტორთა სერტიფიცირების მსურველი ორი პედაგოგი დარეგისტრირდა. ისტორიის პედაგოგი **ეკა ჯავახიშვილი** და ხელოვნების პედაგოგი **თამარ ყოჩიაშვილი,** ორივემ წარმატებით გადალახა ზღვარი და შემდეგ ეტაპზე გადავიდა.

„არ იყო მარტივი გამოცდა, არც უნდა ყოფილიყო. მოითხოვდა სათანადო ცოდნასა და უნარებს. მით უფრო მათგან, ვინც რიგითი მასწავლებლები ვიყავით. მაგალითად, მე არასოდეს ვყოფილვარ ადმინისტრაციის წევრი. არ მიმუშავია დირექტორის, სასწავლო ნაწილის, ან მენეჯერის პოზიციაზე. ზღვა სამუშაო იყო და შვიდგვერდიანი ტექსტი, რასაც ყოველ ჯერზე უნდა მიბრუნებოდი. შრომატევადი გამოცდა იყო,“ – უთხრა „შირაქს“ თამარ ყოჩიაშვილმა.

გამსვლელი ქულები მიიღო ასევე ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლიდან ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა - **თეონა ღონღაძემ** და არბოშიკის სკოლიდან ისტორიის პედაგოგმა - **ხათუნა მაძღარაშვილმა.** სოფელ გამარჯვებიდან გამსვლელი ქულა მიიღო ბიოლოგიის პედაგოგმა **მაია პოპიაშვილმა**.

ოფიციალური ინფორმაციით, საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირების პირველ ეტაპზე - ტესტირებაზე 2022 და 2023 წლებში, ჯამურად დარეგისტრირებული იყო 3 205 დირექტორობის მსურველი. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, დამატებით სესიაზე გასვლის უფლება მიეცა 4 დირექტორობის მსურველს. საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირების ტესტირების პირველ სესიაზე გამოცხადდა 1 839, ხოლო დამატებით სესიაზე 2 დირექტორობის მსურველი.

„საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირების ტესტირების ეტაპისათვის დადგენილი ბარიერი გადალახა და ტესტი წარმატებით ჩააბარა 755-მა დირექტორობის მსურველმა. მართვის სისტემა არ ამუშავებს მონაცემებს იმ პირების შესახებ, ვინც ვერ გადალახა საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირების ტესტირების ეტაპისათვის დადგენილი ბარიერი. საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა რეგისტრაცია სერტიფიცირების ეტაპზე განხორციელდა ელექტრონულად მთელი საქართველოს მასშტაბით, ხოლო ტესტირება ჩატარდა 5 რეგიონში განთავსებულ 49 საგამოცდო ცენტრში, სადაც აპლიკანტები გადანაწილებულნი იქნენ თავისუფალი ადგილების გათვალისწინებით შემთხვევითობის პრინციპით, აღნიშნულიდან გამომდინარე მართვის სისტემა არ ფლობს და შესაბამისად მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს ინფორმაცია ზღვარგადალახულ აპლიკანტებზე“, — აცხადებენ განათლების მართვის საინფორმაციო უწყებაში.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

პროკურატურამ ზემო ქედში 5 წლის ბიჭის დაღუპვის საქმეზე

განაჩენი გაასაჩივრა

სიღნაღის რაიონულმა პროკურატურამ თბილისის სააპელაციო სასასმართლოში გაასაჩივრა სიღნაღის სასამართლოს 2022 წლის 22 ნოემბრის განაჩენი, დედოფლისწყაროს სოფელ ზემო ქედში მცხოვრები მსჯავრდებულის ვანო წიკლაურის საქმესთან დაკავშირებით და საქმე ხელახლა განსახილველად გაგზავნა. პროკურატურა პატიმრობაში მყოფი მძღოლისთვის, რომელსაც სოფელ ზემო ქედში 4 სექტემბერს 5 წლის ბიჭი შემოაკვდა, სასჯელის დამძიმებას და წინა სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლას ითხოვდა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, სააპელაციო სასამართლოს პალატამ (ზედა ინსტანციამ) საქმე 13 მარტის სხდომაზე განიხილა. როგორც სააპელაციო სასამართლოში გვითხრეს, დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოგვიანებით გაავრცელებენ, თუმცა უკვე ცნობილია, შეცვალა თუ არა მოსამართლე თეა ლეონიძემ პატიმრის სასჯელის ვადა.

„შირაქი“ უკვე წერდა, რომ მოსამართლე ლიკა ბოკერიამ დაკავებულს 4 წლიანი სასჯელი შეუფარდა, საიდანაც 2 წელსა და 8 თვეს საპატიმროში მოიხდის, დანარჩენს კი სახლში, პირობითი მსჯავრის ქვეშ გაატარებს. წიკლაურის მიმართ წარდგენილი ბრალი 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თუმცა შემამსუბუქებელ გარემოებებად ჩაითვალა მისი სიფხიზლე და ის, რომ მძღოლი თავად ცდილობდა დაშავებულის შველას და ექიმებთან გადაყვანას.

სიღნაღის პროკურატურის გარდა სასჯელის გამკაცრებას ითხოვს და სიღნაღის სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება გარდაცვლილი ბავშვის ოჯახიც. მათ კვლავ უსამართლობის განცდა აქვთ. თუმცა, ამის მიუხედავად დაზარალებული მხარე არცერთი ინსტანციის სასამართლო განხილვებში არ მონაწილეობს და არც ადვოკატი ჰყავთ აყვანილი. საყურადღებოა, რომ სასჯელის გამკაცრება და განაჩენის შეცვლაც პროკურატურამ მოითხოვა და არა დაზარალებულმა ოჯახმა.

მსჯავრდებულის ადვოკატი **ეკატერინე მაჭარაშვილი** „შირაქს“ ეუბნება, რომ სასამართლოსთან შენიშვნები არ აქვთ. მისი განმარტებით, ზემდგომმა სასამართლომ დაკავებულისთვის გასულ წელს შეფარდებული სასჯელი ძალაში უცვლელად დატოვა, თუმცა გასაჩივრების უფლება პროკურორს კიდევ აქვს.

„განაჩენი ვადების დაცვით გასაჩივრდა, ამის შემდეგ მხოლოდ ერთი სხდომა ჩატარდა 13 მარტს და განხილვა ამავე დღეს დასრულდა. ამჯერად უცვლელად დარჩა ძალაში სიღნაღში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასულ წელს გამოტანილი განაჩენი. ამჯერადაც მოსამართლემ პროცესზე ხაზი გაუსვა მსჯავრდებულის ქმედებას მომხდარი ფაქტის შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ მძღოლი შეჯახების შემდეგ უკან დაბრუნდა, ბავშვის გადარჩენას ცდილობდა, დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანა და მაშინვე ჩაბარდა სამართალდამცავებს. ასევე, აღიარა დანაშაული და ითანამშრომლა გამოძიებასთან. ამ სასამართლო განხილვის შემდეგ ისევ 2 წელი და 8 თვიანი პატიმრობა იქნება ძალაში. თუმვა საქმის პროკურორს კვლავაც შეუძლია კიდევ გაასაჩივროს საკასაციო წესით და ეს გადაწყვეტილებაც გადაიხედოს. ვერ გეტყვით, როგორ მოიქცევა პროკურატურა“ – ამბობს ადვოკატი.

გარდაცვლილი ბავშვი ლანჩხუთიდან ზემო ქედში ნათესავებთან მიდელაშვილების ოჯახში სტუმრად იმყოფებოდა, რა დროსაც უბედური შემთხვევა მოხდა. უშედეგო გასაჩივრების შემდეგ „შირაქი“ დაზარალებული მხარის პოზიციის მოსასმენად მოზარდის დედას **თეონა კილაძეს** დაუკავშირდა. შვილმკვდარი დედა ამბობს, რომ არ სურს ამ თემაზე საუბარი და დეტალების გახსენება მისთვის მტკივნეულია, ამდენად გვთხოვს შეკითხვებით ნუ შევაწუხებთ.

გამოძიების მიხედვით, 2022 წლის 4 სექტემბერს ზემო ქედში ბავშვი გზის

შემთხვევის ადგილი

სავალ ნაწილზე გადავიდა, „ოპელის“ მძღოლმა კი რეაგირება ვერ მოასწრო და მოზარდის სიცოცხლე იმსხვერპლა. დაზარალებული მხარე საპირისპიროს ამტკიცებს, რომ ბავშვი არსად გადასულა და ტროტუარზე იდგა. გარდაცვლილის ოჯახი განაჩენს არ ეთანხმება. **დაკავებულის ოჯახი კი აღნიშნავს, რომ ბავშვი მარჯვენა მხრიდან გამოიქცა, მიდელაშვილების სახლი კი მარცხნივაა, შეჯახებაც მარჯვენა კუთხით მოხდა. ამდენად ისინი კითხვას სვამენ, თუ არსად გადასულა ბავშვი, როგორ აღმოჩნდა მეორე მხარეს.** წიკლაურების ოჯახში ამბობენ, რომ გაღიზიანებულმა ახლობლებმა მათი კუთვნილი ავტომანქანა მიზანმიმართულად დააზიანეს და შუშები ჩაამტვრიეს..

შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის კახეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის კომპლექსური ტრასოლოგიური და ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია:

„საქმის მასალებით, დადგენილია, რომ 4 სექტემბერს 19:20 საათზე ზემო ქედში, არხილოსკალოს მიმართულებით, მოძრაობდა „ოპელი“, რომელსაც ვანო წიკლაური მართავდა. იმავე დროს, მისგან მარჯვნიდან მარცხნივ, სავალი ნაწილის გვერდულზე გაჩერებული ავტომობილის უკანა მხრიდან საავტომობილო გზას სწრაფი სირბილით კვეთდა ქვეითი დავით ფირცხალაიშვილი, რომელიც გადმოვიდა სავალ ნაწილზე და სავალი ნაწილის დაახლოებით შუაში გაჩერდა. ამის დანახვაზე მძღოლმა იხმარა მუხრუჭი, საჭე მიმართა მარცხნივ, მაგრამ ქვეითთან შეჯახება ვერ აიცილა. როცა ქვეითი სავალ ნაწილზე გაჩერდა, შეჯახებამდე დაახლოებით 3 წამის განმავლობაში იდგა. ძრავის სახურავის მარჯვენა უკანა ნაწილში აღენიშნება დაზიანების კვალი, დაზიანებულია ბამპერის მარჯვენა ნაწილი და მარჯვენა წინა მაშუქი. ხასიათიდან გამომდინარე გამოწვეულია რაიმე რბილი საგნის ზემოქმედებით, ეს შეიძლება იყოს ადამიანის სხეულიც.

შემთხვევის ადგილზე გზის სიგანეა 6,9 მეტრი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ არის ორი პარალელური მუხრუჭის კვალი, მისი სიგრძეა 10,7 მეტრი. ვანგარიშობთ, რა სიჩქარით მოძრაობდა ავტომობილი, რომელმაც დატოვა 64,9 მეტრი მუხრუჭის კვალი. მივიღებთ, რომ ოპელი მუხრუჭის კვალის მიხედვით მოძრაობდა 110 კმ/სთ სიჩქარით. ქვეითი გზაზე გაჩერებულ ავტომანქანის უკან მოძრაობდა, ამდენად მძღოლის მხედველობის არეში სწრაფი სირბილით სავალ ნაწილზე გაჩერებამდე გაირბენდა დაახლოებით 4,3 მეტრ მანძილს.

თუ მძღოლი მოძრაობს 60 კმ/სთ სიჩქარით, გასაჩერებლად ესაჭიროება 3,6 წამი, ხოლო ქვეითი საფრთხის წარმოქმნიდან შეჯახებამდე სავალ ნაწილზე იმყოფებოდა დაახლოებით 4,4 წამის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში მძღოლს ტექნიკური თვალსაზრისით მომხდარი საგზაო შემთხვევის აცილება შეეძლო. ვანო წიკლაურის მოქმედება არ შეესაბამება საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მუხლი 33, პუნქტი 1-ის მოთხოვნებს, რომელთა დაცვის შემთხვევაში ეს შემთხვევა შეუძლებელი იქნებოდა. ამ მუხლით მძღოლს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალების მართვა სიჩქარის გადაჭარბებით. სიჩქარე მძღოლს საშუალებას უნდა აძლევდეს, მუდმივად აკონტროლოს ტრანსპორტი ისე, რომ მოძრაობის უსაფრთხოება დაცული იყოს. ოპელის საჭის მართვის მექანიზმი და სამუხრუჭე სისტემა გამართულია“. – ვკითხულობთ დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერს მთავარი ექსპერტი არჩილ ღვინიაშვილი.

შემთხვევის ადგილი დაათვალიერა შსს დედოფლისწყაროს სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელმა კახა კორახაშვილმა, ასევე მონაწილეობდნენ ექსპერტები ზაქარია ლაზარიაშვილი და გელა ფრიდონაშვილი. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, საქმეს შს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი ვლადიმერ შალვაშვილი იძიებდა.

ანა მიდელაშვილი: „ლანჩხუთიდან ნათესავები კვირაზე მეტი ხნის ჩამოსული იყვნენ ზემო ქედში, ჩვენთან ცხოვრობდნენ. სოფელში ეკლესიას ვაშენებთ, გარდაცვლილი ბავშვის პაპა მშენებელია, მამაც ტაძრის გადახურვის სამუშაოებში გვეხმარებოდნენ, მუშებიც მათ ჩამოჰყავდათ ხოლმე და ახლაც ამ მიზნით ჩამოვიდნენ. იმ დღეს ისინი მშენებლობაზე იყვნენ, დანარჩენები სახლში ვიყავით. შუადღისას მეზობლებთან მყავდა დათა. საღამოს ტიროდა, გარეთ ბავშებთან გაყვანას ითხოვდა, მაგრამ დედა არ უშვებდა. არ გაჩერდა და ბოლოს მამაჩემმა გაიყვანა. იქვე ცემენტის მანქანა მუშაობდა. მამამ იფიქრა, ტაძრისთვის შევუთანხმდებიო, სულ ორი წუთით გავიდა და ამ დროს დატრიალდა ეს უბედურება. მე ქუჩის კართან ვიდექი, ბავშვის დედა კი ჩვილით ხელში, ქუჩის გარეთ იდგა, თან ვსაუბრობდით და თან დათას ყურადღებას აქცევდა. რომ ამბობენ, უყურადღებოდ მიატოვესო, სიცრუეა. დაახლოებით 50 მეტრში ვიდექით. ოთხი-ხუთი ბავშვი მესერთან თამაშობდა. ველოსიპედი, ან ასეთი რამ არ ჰქონიათ, ისე თამაშობდნენ. ამ დროს დიდი სისწრაფით გაიარა ამ მანქანამ, „ეს ვიღაცას გაიტანსო“ დედამისმა თქვა, მაგრამ ვერც დაასრულა, რომ შეჯახების ხმა გავიგეთ. ატყდა ყვირილი, მანქანა მობრუნდა, თავადვე წაიყვანა ექიმთან და ჩვენ სხვა მანქანით გავყევით უკან. ექიმი ხარხელაური ადგილზე იყო, დავინახე მძღოლმა როგორ გადააწოდა ბავშვი ექიმს. უგონოდ იყო, არც თვალი გაუხელია. ბევრი ეცადა, ყველაფერი გააკეთა,მაგრამ ვერ უშველა. სხვა სასწრაფო ჯგუფიც მოვიდა, თუმცა ამაოდ. დედოფლისწყაროშიც აღარ გადაუყვანიათ. რაც მე დავინახე, ბავშვს მუცლის არეში ჰქონდა დალურჯებები, შუბლთან, ყურთან და კისერთან ტრავმა, კიდურებიც დაყვლეფილი. გაკვირვებული ვართ ექსპერტიზის დასკვნით და სასამართლო განხილვებით. ჩვენი მხარე არ ყოფილა ჩართული არც გამოძიებაში, არც სასამართლო განხილვაში. როცა დასკვნაში წერენ- ბავშვმა გადაირბინაო, ეს ჩვენთვის გაუგებარია. **ხაზგასმით ვამბობთ, რომ ბავშვი ტროტუარიდან არცერთი ნაბიჯით არ გადმოსულა გზაზე. დათა იდგა და არსად გადარბენას არ გეგმავდა, ზოგადად, ზორბა ბავშვი იყო და ასე ვერ გადაირბენდა. მანქანა იმაზე სწრაფად მოდიოდა, ვიდრე ნათქვამია**. ეს ისეთი ადგილია, ბევრი ბავშვი ცხოვრობს და ამ სისწრაფით სიარული არ შეიძლება, თუ ფხიზელი იყო, ვერ ამომიხსნია, რატომ მიდიოდა ასე. დამნაშავე მხოლოდ მაშინ დავინახე, როცა ექიმს ბავშვი მიუყვანა, თუმცა, არ შემიძლია ვთქვა, ფხიზელი იყო, თუ არა. დათა არასოდეს ქუჩაში მარტო არ გასულა და უყურადღებოდ არ დაგვიტოვია. ზოგადად, თეონა ძალიან ყურადღებიანია, „გიჟი დედაო“ რომ იტყვიან, ასეთია“.

ოჯახი დუმს, თუმცა აშკარაა, რომ სიღნაღში გამოტანილი მინიმალური სასჯელით უკმაყოფილო არიან და არც სააპელაციო სასამართლოს მიერ პატიმრობის ვადის უცვლელად დატოვებაა სამართლიანი.

ილია მარტყოფლიშვილი

„ჩემი ანდერძის დასასრული...“

„მე, მწერალი, დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ. ირგვლივ ვაება და კაეშანია. მეუბნებიან, გმირული რამ დასწერეო. თუ სხვებთან ერთად ვიგლოვე - თავში ჩამირახუნებენ, თუ ავტლიკინდი - სირცხვილით დავიწვები. ვარ მდუმარე და დარდიანი“, - ეს სიტყვები მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს ეკუთვნის, რომელიც უბის წიგნაკში ჩანაწერებს მუდმივად აკეთებდა.



გთავაზობთ მწერლის უბის წიგნაკიდან ყველაზე მნიშვნელოვან ჩანაწერებს:

*ვინც მუდამ იხედება თავის სულში, ის მუდამ ხედავს მხეცს, ნანობს. და თვითონვე აკრავს თავის თავს ჯვარზე. სწუხს, იგლიჯება. (და ჯვარცმულია)

*ბაზალეთის ტყის ძირიდან განგებამ ოქროს აკვანი ამოიღო. იმავე განგებამ სამი წლის შემდეგ წითელ ხიშტით უკანვე ჩააგდო.

*ჩემი სახლიდან თეატრამდის 1924 წ. 15-იან ყინვაში 40-ზე მეტი დავთვალე უპალტოო.

*X ისეთი ღარიბი იყო, რომ წინ მარტი უჩანდა და უკან აპრილი.

*ჩვენი ქალაქი იმიტომ ინგრევა, რომ მსხვილმანს დაედევნენ (ჯებირი, ხიდი, კოჯრის გზა, აბანოების უბნის დანგრევა) და წვრილმანი კი დაივიწყეს — (ტრამვაი, ქუჩა, შენობა). წვრილმანის და მსხვილმანის თეორია.

*სახელმწიფო მანქანას ყალიბი არა აქვს. იგი ხალხს ამსხვრევს და ნაგლეჯებს აქეთ-იქით ჰყრის.

*საქ-ში მილიონი კრება და წარმოდგენა მაინც ყოფილა. არც ერთი არ დაწყებულა დროზე. კულტურაზე ლაპარაკი ზედმეტია.

*ვაჟას და სხვას უკვე „შეუსწორეს“ ქართული.

*დღევანდელი ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერებაც, მეტად მცირე გამონაკლისის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია. საკუთარი ქართული სული იშვიათად მოსჩანს სადმე. მხოლოდ სრულ თავისუფლებას შეუძლიან ეს უცხო სისხლი მოგვაშოროს. მხოლოდ ქართულის ფოლადურ რომანტიკას შეუძლიან სავსებით განგვკურნოს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენს ირგვლივ და ჩვენს სულიერ-ფიზიკურ ცხოვრებაშიც ნამდვილი გამაჯანსაღებელი კატაკლიზმი მოხდეს - „ჩვენ კი - ჩვენ ჩვენს თავს არ ვეყუდნით“ და ამიტომ მოლოდინის მეტი აღარა დაგვრჩენიარა.

*ილია ჭავჭავაძე ხელოვნებაში უკიდურესი რადიკალი იყო, პოლიტიკაში კი მემარჯვენე. ანატოლ ფრანსი კი პირუკუღმა; სიტყვით მაინც კომუნისტია, ხელოვნებაში კი მემარჯვენე. განვითარდეს.

*ილიას ძალიან უყვარდა სიმღერა „ბერი კაცი ვარ და ნუ მომკლავ“ და ხშირად ამღერებდა გლეხობას. არ აცდა. მისი სიბერეც არ დაინდეს და მოჰკლეს. ეს სიმღერა სიმბოლოა მისი სიკვდილის.

*ილია ჭავჭავაძის მკვლელი ყაჩაღ იმერლიშვილთან მივიდა და უთხრა: „ძმად უნდა გაგეფიცო“. „ვინა ხარ?“ - „მე ძაღლი მოვკალი“ - „ვინა?“ — „ილია მოვკალი“. იმერლიშვილმა იქვე მოკლა.

*2/VI -25 წ. მუხრანში ვიყავი. ილია ჭავჭავაძის მკვლელი მაჩვენეს. არ დავიჯერე. ლევან მეტრეველმა დამიდასტურა. შუა ტანის ჩასხმული მხეცი. ხშირი ულვაში. გრუზა. გმირად არის ჩათვლილი. ეხლა ყოველივე ცხადია. მაგონდება: 1909 ან 10 წელს სამიოდე იმის ამხანაგს სიკვდილი გადაუწყვიტეს. საზოგადოებამ პატიება სთხოვა. ოლღასაც მიაწერინეს წერილი. აპატიეს. მაგრამ ისტორია გვაპატიებს? დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია. დანგრილებით განვითარდეს. ეს კაცი მერე ხვრეტდა იმ ხალხს, რომელთაც ის გადაარჩინეს.

*ბერბიჭაშვილი - ილიას მკვლელი 1925/XII აირჩიეს ც.საკ.კომ. წევრად!!! კადეტის კარავაევის მკვლელებს (1906წ.) ეხლა ასამართლებენ, ილიას მკვლელი ბერბიჭაშვილი კი საკ. კომ-იის წევრია: ცხადია ყოველივე.

*მე XIX ს-დან დღევანდლამდე ჩვენი ლიტერატურა ორპირი გამოძახილია ევროპის. იქაური ხმა ჯერ მოსკოვში მოისმის, შემდეგ რუსულად გარდაიქმნის და მერმე ტფილისში ოდნავი შესწორებით მეორდება.

*სამი ფორმულა „ქართულ მწერლობაში“ 1) ჯერ ძველი უნდა დაინგრეს, მერმე ახალი აშენდეს; 2) ჯერ ახალი აშენდეს, მერმე ძველი დაინგრეს; 3) ერთად აშენდეს და დაინგრეს.

*პანკისელ ქისტებს თათრული სკოლა გაუხსნეს. ერთი სიტყვაც კი არ ესმით თათრული. მათი დედაენა ქართულია.

*კოწია თავართქილაძემ სტამბებით და წიგნით გასტენა საქ-ლო. ოცჯერ იჯდა ციხეში ჩუმი ლიტერატურის გავრცელებისთვის. ეხლა ერთი ჯაგლაგა ცხენი ჰყავს, ბარგს ეზიდება და იმ ცხენზე უარესად ცხოვრობს.

*გაკოტრებული მწერალთა კავშირი სამ ლექციას უმართავს ანდრეი ბელის და ფულს აძლევს. მეტრეველი და სხვები კი თითო წლობით დასდევენ თავიანთ სამთუმნიან ვალებს.

*მწერალთა სასახლეში ორი მამულიშვილის სურათი ეკიდა. ერთი მათგანი - დ.ყიფიანი რუსებმა მოჰკლეს, მეორეს კი - დიდი ილიას ქართველებმა გაუხვრიტეს შუბლი. ბოლშევიკებს ძილი უფრთხოდათ. ყიფიანის სურათი ქურდულად გააპარეს, ილიას კი ჯერ ერიდებიან, მაგრამ მისი დროც დადგება.

*სანამ მკითხველი იყო, ლიტერატურაც იყო. იბეჭდებოდა წიგნები, ჟურნალები. წრეულს კრიზისი დაიწყო. მკითხველმა უცებ იხუვლა და გაიქცა. წიგნი აღარ იყიდება. „მნათობს“ 1200 ხელმომწერიდან (იანვარში) დარჩა 400 (სექტემბერში). ამას აუცილებლად მოჰყვება ლიტერატურის გაუქმებაც. ჩემით დაიწყეს - დამითხოვეს. სხვებიც მომყვებიან. ხელისუფლებას სჭირდება მხოლოდ ქვემძრომი ფინაჩები. უხვად არიან. ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო.

*ქართულ ენას ზაფრანის ფერი დაედო. მოდუნდა, გაღატაკდა, დაიგრაგნა, მოიკრუნჩხა, თითქო დამბლად დაეცაო, თითქო სიკვდილის ლანდი მოეჩვენაო. ქართველი თითქმის დამუნჯდა. უკვე დაბლუვდა: ბორძიკებს, ვარდება, ბლუკუნებს.

*დღევანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია, და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერ სწერს. როცა სატირალი აქვს, იცინის და სადაც ეცინება, სტირის. ამიტომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩატე. მოჰგლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი დადნება და ისეთ ლოცვას იტყვის, რომ ღვთისმშობელსაც კი გააცოცხლებს.

*„ჩვენ ვიმარჯვებთ, თქვენ კი მარცხდებით“ - წარამარად იკვეხნიან პროლეტმწერლები. ყველა ლომები რომ ამოვყლიტოთ, ტურაც კი ლომად გასაღდება - აი, ჩემი პასუხი.

*გინდათ დღევანდელი ჩვენი კულტურული დონე გაიგოთ? შეიხედეთ საზოგადო საპირპარეშოებში და წარწერებიც გასინჯეთ, თუნდაც დიდ დაწესებულებაში.

*ქრისტე რომ ჩამოვიდეს და ქართველებში დასახლდეს, მეორე დღესვე თავში ჩავუფაჩუნებთ, ან ხელს გადავხვევთ და ასე ავლაპარაკდებით: „ბიჭო იესო, როგორა ხარ? რასა იქ შე ჩემო ნალავ? წამო ერთი ჩარექა დამალევინე“...

*ჩვენ ქართველებს, ჩვენი ღმერთი გვყავს, რომელიც მხოლოდ ქართულად ლაპარაკობს და სხვა ენა არ იცის.

*თვითონ ღმერთსაც სჭირდება რეკლამა, ჩვენზე უფრო მეტიც, რადგან მისი არსებობაც საეჭვოა, ჩვენ კი უცილობელი ფაქტი ვართ.

*ქართველს ვერაფერში დააჯერებ. უნდა მიიყვანო იქამდე, რომ თვითონვე შეიგნოს. ორმოც წელიწადს ვაჯერებდი - სოციალიზმი უდიდესი უბედურებაა, რომ რუსის მუჟიკს უფრო მეტი აქვს მეზობლის შეჭმის მადა, ვიდრე აზნაურს. დაიჯერა მხოლოდ დღეს, როცა იმის ზურგზე დამტკიცდა ეს ცხადი ჭეშმარიტება.

*ჩემო ტფილისო: შენ რომ სახე გქონოდა, ერთს შეგაფურთხებდი, სილას გაგკრავდი. მერე ფეხებში ჩაგივარდებოდი, მუხლებს დაგიკოცნიდი და ბავშვივით ავტირდებოდი.

*საქ-ლო ისეთ დღეშია, რომ ერთი პატარა ბანკი იყიდის და გაჰყიდის ჩვენს მიწა-წყალს, ხალხსა და სინდისს.

*ჩემი საიდუმლოდ მუშაობა პარტიაში 1921-23 წლებში ჰგავდა იმ ადამიანის საქციელს, რომელმაც ცურაობა არ იცის, მაგრამ სხვის დასახსნელად ისკუპა ხიდიდან და წყალში გადავარდა. ამის ახსნა შეუძლებელია. აქ მუშაობს იდუმალი ძალა - ალღო მოძმის მიშველებისა. და ამ ალღოს ასჯერ მეტი ძალა აქვს, ვიდრე შეგნებას.

*ჩვენი ეპოქა - რევოლუცია ჩემთვის საშინელი ტრაღედიაა, ვინაიდან ჩემს თვალწინ კვდება ძველი ქვეყანა - დედა, ზოგისთვის კი უზენაესი სიხარულია, ვინაიდან იბადება შვილი - ახალი ქვეყანა. ამიტომ არის მგლოვიარედ გუშინდელი პოეტი, ამიტომვე ხარხარებს დღევანდელი ჭაბუკი კომკავშირიდან. სჯობდა, სჯობდა ან უფრო ადრე გავჩენილიყავი, ან უფრო გვიან.

*ჩემი ბედი ძლიერ ჰგავს გ. ერისთავის, ორბელიანებისა და სხვათა ბედს. ჯერ სიკვდილი გადაუწყვიტეს, მერე აპატიეს. დიდი მწერლები გამოვიდნენ. ჩეკაში ამაზე ვფიქრობდი.

*მაგონდება: ჩეკას საკანში მაწვალებდა ტყე - უღრანი, ტევრი, დაბურული. გამოვედი და „ტყის კაცი“ დავწერე.

*მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი, ნაადრევია ჩემი სიკვდილი.

*ერთმა ქათამმა თავი ჩამოიხრჩო და ასეთი წერილი დასტოვა: „მე დღეში მხოლოდ 1 კვერცხის დადება შემეძლო, და მე კი წკეპლით მთხოვდნენ 4-ის დადებას“. ამ ქათმის დღეშია დღევანდელი ქართული მწერლობაც.

*„25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითი-დღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასაც ვეღარ მოვასწრებ“. („ძაღლი“)

*მე, მწერალი, დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ. ირგვლივ ვაება და კაეშანია. მეუბნებიან, გმირული რამ დასწერეო. თუ სხვებთან ერთად ვიგლოვე-თავში ჩამირახუნებენ, თუ ავტლიკინდი-სირცხვილით დავიწვები. ვარ მდუმარე და დარდიანი.

*ერთი დღისა მეშინიან: დრო მოვა და ჩემი ბინის წინ შავი ბალდახინი გაჩერდება.

*ჩემი ტრაღედია: არა მყავს მემკვიდრე - არც ფიზიკური (ვაჟი), არც სულიერი ლიტერატურაში. მე მუდამ ვკივი: მემკვიდრე, მემკვიდრე, მომეცით მემკვიდრე! ჩემი ეპიტაფია: „აქ მარხია მიხ. ჯავახიშვილის ფერფლი, მეტი არაფერი“. ჩემი ანდერძის დასასრული: ... ჩვენო შვილებო, დაივიწყეთ ეგ რუსული ისე მკვიდრად, რომ ერთი სიტყვაც არ გაგახსენდეთ.



მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

რამ გამოიწვია მცენარეთა დაზიანება ვაშლოვანში

რამდენიმე თვის წინ ვაშლოვანის ნაკრძალში მცენარეთა გახმობის ტენდენცია დაფიქსირდა. „შირაქი“ შეეცადა გაერკვია, რამდენად მასშტაბური იყო პრობლემა, შეჩერდა თუ არა ეკოსისტემის ხმობის პროცესი და ემუქრება თუ არა საფრთხე ვაშლოვანის უნიკალურ ფლორას.



ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე გასული წლის 2 მაისიდან 29 ივლისის ჩათვლით ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ჩატარდა პათოლოგიური კვლევები და შედეგები გაიგზავნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში. როგორც კვლევის შედეგად მომზადებულ დასკვნაშია აღნიშნული, **2022 წლის მაისში ვაშლოვანში გამოვლენილი იქნა ღვიის კოროძების მასობრივი დაზიანება, გაყვითლდა და გახმა წიწვოვანი საფარველის მნიშვნელოვანი ნაწილი.** ამ პრობლემის შესახებ შესაბამისი შეტყობინება გაიგზავნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში. მაგრამ, სასიხარულო ფაქტია, რომ **აგვისტოს დასაწყისიდან ღვიის ხეებიდან დაიწყო გამხმარი წიწვების ცვენა და ახალი წიწვების განვითარება.** მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირდა, რომ ოქტომბერ-ნოემბერში უკვე კარგად იყო განახლებული წიწვოვანი საფარველი. დაიგეგმა მეტეოროლოგიურ მდგომარეობაზე დაკვირვება და ანალიზის მიზნით ინფორმაციის შეგროვება.

„2017 წლიდან ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე კლიმატზე დაკვირვებისთვის დამონტაჟებული იყო თანამედროვე, სპეციალური მოწყობილობები, თუმცა, ამ ხელსაწყოების მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ სპეციალურ სამსახურებს (გარემოს ეროვნულ სააგენტოს). ნაკრძალის თანამშრომლების მიერ კი, მეტეოროლოგიურ მოვლენებზე დაკვირვება წარმოებს მხოლოდ ვიზუალურად და ჰაერის ტემპერატურის მზომი თერმომეტრების გამოყენებით,“ – აცხადებენ ვაშლოვანის ადმინისტრაციაში.

ვაშლოვანის ნაკრძალის უხუცესი თანამშრომელი **ვაჟა ჩერქეზიშვილი** გაზეთ „შირაქს“ მცენარეთა მდგომარეობის შესახებ ესაუბრა:

„რით იყო ეს გამოწვეული არ ვიცით, იშვიათად, მაგრამ სხვა დროსაც დაფიქსირებულა მსგავსი შემთხვევა. წელს მსგავსი პრობლემა არ შეინიშნება, ღვიებს შარშანდელი გამხმარი წიწვები დასცვივდა და მის ადგილზე ახალი მწვანე წიწვები წამოუვიდა. ამჟამად მცენარეებში რამე ხარვეზი აღარ შემინიშნავს. ამ ზამთარს მდგრადი თოვლის საფარი არ ყოფილა, ორჯერ-სამჯერ წამოთოვა და მალევე დადნა,“ – ამბობს ვაჟა ჩერქეზიშვილი.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ გვალვების გამო თებერვალში ბალახი საერთოდ გადამხმარი იყო. მარტში ცენოზები და ეკოსისტემები თანდათან გამოვიდნენ მოსვენების მდგომარეობიდან და დაიწყო კვირტების, ფოთლოვანი და ბალახოვანი მცენარეების მცირე განვითარება. 14-15 მარტს და შემდეგ 19-20 მარტს მოვიდა თოვლი და თოვლის საფარის სისქემ 5-6 სანტიმეტრს მიაღწია, ხოლო ვაშლოვანის უბანზე და შავ მთაში 20 სანტიმეტრს. ეს კი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისთვის ითვლება უჩვეულო მოვლენად. ჰაერის ტემპერატურამ დაიწია და ღამით აღინიშნა -2-5 0C. აპრილში განაგრძო განვითარება მერქნიანი მცენარეების ფოთლოვანმა საფარველმა. ივნისში უკვე დასრულებული იყო მერქნიანი მცენარეების ფოთლოვანი საფარველის და ბალახოვანი მცენარეების განვითარება. რადგან ივნისში მოსული წვიმების შედეგად ბალახოვანი საფარველი არ გადახმა, ტერიტორიის სტეპური ნაწილი მწვანედ გამოიყურებოდა. 9 და 15 ივნისს ვაშლოვანში მოვიდა წვიმები, წარმოიქმნა დროებითი ნაკადები და გუბურები, რომლებსაც იყენებენ იქ მობინადრე ნადირ-ფრინველი. ასევე ამ ნალექმა სიმწვანე შეუნარჩუნა ბალახოვან საფარველს. ივლისში აღინიშნა ძლიერი სიცხეები და გვალვები, ამიტომ ბალახოვანი საფარველი თითქმის მთლიანად გადახმა. ივლისში ძლიერი სიცხეების მიუხედავად მერქნიან მცენარეთა ფოთლოვან საფარველს არ დაუწყია ხმობა და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ შექმნია, თუმცა, ბალახოვანი საფარველი მთლიანად გადახმარი იყო. აგვისტოში მერქნიანი მცენარეების ფოთლოვანი საფარველი კვლავ მწვანედ გამოიყურებოდა, თუმცა ძლიერი გვალვების და სიცხეების გამო ნელ-ნელა დაიწყო ფოთლების გაყვითლება და ცვენა. სექტემბერში მერქნიან მცენარეთა ფოთლებმა კვლავ განაგრძო ფერის ცვლა და ფოთოლცვენა. გვალვების გამო ბალახოვანი საფარი კვლავ გადამხმარი იყო. ხოლო ოქტომბრიდან მცირედ წამოვიდა ახალი ბალახი და გადამხმარმა მდელოებმა ნელ-ნელა დაიწყო გამწვანება. მერქნიანი მცენარეების ფოთლოვანი საფარველი ნაწილობრივ მწვანედ, ნაწილობრივ ფერშეცვლილი გამოიყურებოდა, ბალახოვანი საფარი ზაფხულის გვალვების შემდეგ მთლიანად გადამწვარი იყო, თუმცა, ოქტომბერში მოსული ნალექის შემდეგ საფარი მცირედ გამწვანდა:

ოქტომბერ-ნოემბერში ყველა მერქნიან მცენარეს სრულად ჰქონდა ფოთლები გაცვენილი.

ილია მარტყოფლიშვილი

უცხოელების მიერ საქართველოში გადაფორმებული მიწის ნაკვეთების 48,5% რუსებზე მოდის

გასულ წლის 6 თვეში — 20 აპრილიდან 20 ოქტომბრის პერიოდში, საქართველოში უცხო ქვეყნის 1720-მა მოქალაქემ საკუთრებაში არასასოფლო-სამეურნეო მიწის 1956 ნაკვეთი დაირეგისტრირა, საიდანაც ყველაზე მეტი 950, რუსეთის 874 მოქალაქის საკუთრებაში დარეგისტრირდა.

რაც შეეხება სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, იუსტიციის სამინისტროს მიერ “ინტერპრესნიუსისთვის” საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე მოწოდებული მონაცემების თანახმად, აღნიშნულ პერიოდში საქართველოში გერმანიის 73-მა მოქალაქემ მიწის 84 ნაკვეთი დაირეგისტრირა; აზერბაიჯანის 63-მა მოქალაქემ 57; სომხეთის 69-მა მოქალაქემ 88; საუდის არაბეთის 47-მა მოქალაქემ 66; ისრაელის 66-მა მოქალაქემ 65; ირანის 61-მა მოქალაქემ 67; ეგვიპტის 34-მა მოქალაქემ 72; აშშ-ის 44-მა მოქალაქემ 58; უკრაინის 46-მა მოქალაქემ 54; საბერძნეთის 42-მა მოქალაქემ 47; ყაზახეთის 27-მა მოქალაქემ 24; ქუვეითის 16-მა მოქალაქემ 17; კანადის 16-მა მოქალაქემ 20.

მონაცემთა დანარჩენი ნაწილი კი მესაკუთრეთა მოქალაქეობის მიხედვით (ფრჩხილებში მითითებულია მიწის ნაკვეთების რაოდენობა) ასეთია:

ავსტრალია 1 (3); ავსტრია 6(8); ამაღლების კუნძული 1(1); ამერიკის სამოა 1(1); არაბთა გაერთიანებული საამიროები 13(25); არუბა 6(8); ბაჰრეინი 1(1); ბელარუსი 13(21); ბელგია 6(7); გაბონი 1(1); გაერთიანებული სამეფო 7(7); განა 23(23); გიბრალტარი 3(3); გრენადა 1(4); დანია 1(1); დომინიკა 3(3); ეთიოპია 1(1); ერაყი 6(14); ესპანეთი 3(3); თურქეთი 27(24); თურქმენეთი 1(1); იემენი 6(6); ინდოეთი 5(5); იორდანია 4(8); ირლანდია 4(6); იტალია 1(1); კატარი 6(7); კვიპროსი 3(4); ლატვია 4(4); ლიბანი 11(10); ლიბია 1(1); ლიეტუვა 6(6); მოქალაქეობის არმქონე პირი 1(1); ნიდერლანდები 7(11); ნორვეგია 2(2); ომანი 3(5); პაკისტანი 3(3); პალესტინის სახელმწიფო 2(2); პოლონეთი 3(2); სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 3(3); სამხრეთ კორეა 1(1); საფრანგეთი 7(8); სირია 6(8); სუდანი 3(6); უზბეკეთი 6(6); უნგრეთი 1(1); ფინეთი 2(2); ყირგიზეთი 1(1); შვედეთი 2(2); შვეიცარია 3(4); ჩეხეთი 1(1); ჩინეთი 8(9); ჩრდილოეთ კორეა 1(1)

კახეთის ღია პირველობა კიკბოქსინგში

11 მარტს სიღნაღმა უმასპინძლა კახეთის ღია პირველობას კიკბოქსინგში. (ორგანიზატორი დავით სარდალიშვილი). ტურნირზე მონაწილეობა მიიღეს გურჯაანის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს და სიღნაღის გუნდებმა.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ ჩემპიონები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში და წონით კატეგორიებში.

დედოფლისწყაროს გუნდი „ჩემპიონი“-ს კიკბოქსინგელებიდან (მწვრთნელი თამაზ ყარაგვეზაშვილი) პირველი ადგილი მოიპოვა 7-მა სპორტსმენმა: ლაშა ჭუბაბრია; სოსო ჯავახიშვილი; ლუკა ტუმასიანი; ნიკა დესიატნიკოვი; ნიკა ღორაშვილი; ლუკა ზურიკაშვილი; მიხეილ ბაღდასარიანი. ხოლო მეორე ადგილები: ლუკა ჩაჩანიძესა და გიორგი ჯამასპიშვილს.

„სასიხარულოა, რომ დღითიდღე პოპულარული ხდება ოლიმპიური კიკბოქსინგი, იზრდება სპორტსმენთა ტექნიკური თუ ფიზიკური მომზადების დონეც, ეს ყველაფერი კი ნათლად გამოჩნდა ჩემპიონატის მსვლელობაში. მიმდინარე წლის განმავლობაში მრავალი საინტერესო შეჯიბრია დაგეგმილი საქართველოში და მათ შორის დედოფლისწყაროშიც.წარმატებები კიკბოქსინგელებს!“ – აღნიშნავს მწვრთნელი, თამაზ ყარაგვეზაშვილი.

გამოსათხოვარი

ლია ფიროსმანაშვილი

დედოფლისწყაროს კულტურის სფერომ კიდევ ერთი დიდი დანაკლისი განიცადა ელისო (ლია) ფიროსმანაშვილის სახით. ჩვენი სულიერი მეგობარი, მკაცრი, შრომისმოყვარე და სიკეთით სავსე კოლეგა.

მისი მოღვაწეობა იწყება კინოფიკაციიდან, პარალელურად სწავლობდა თბილისის ა.პუშკინის სახ.პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1964 წელს დაინიშნა წითელწყაროს სარაიონო ბიბლიოთეკის გამგედ, ხოლო 1974 წლიდან ბიბლიოთეკების ცენტრალიზებასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკის დირექტორად. ის მასზე დაკისრებულ მოვალეობას პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. მისი ასეთი შრომისუნარიანობა კულტურის სამინისტროს არ გამორჩენია. უყვარდა დისციპლინა და ჩვენც იგივეს გვთხოვდა. 4 ათეული წელი ერთად გავატარეთ, საქმის დროს საქმე იცოდა, ლხინის დროს ლხინი, ჭირში - თანადგომა. იუმორიც შეეძლო და მისი იმედიც გვქონდა. ყოველთვის ზრუნავდა ჩვენზე.

90-იან რთულ წლებში ბიბლიოთეკა დახურვის საფრთხის წინაშე იყო, სამსახურის გადასარჩენად ბევრი იბრძოლა, ნახევარ განაკვეთზე, მიზერული ხელფასებით შეინარჩუნა გუნდიც და სამსახურიც. დიდ პატივს სცემდა განათლებას, ამიტომაც იმ პერიოდში კვალიფიციური სპეციალისტები იყვნენ, ეს სამინისტროსაც არ დარჩენია უყურადღებოდ და ყოველთვის ფასდებოდა.

ოჯახი არ ჰქონდა, მაგრამ ძალა და ენერგია დისშვილებს შეალია.

მადლობას გიხდით დიდი ყურადღებისთვის. თქვენ იყავით მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს სპეციალისტი, ხელმძღვანელი, ადამიანი. კარგად გესმოდათ წიგნი და წიგნიერების როლი. თქვენგან ბევრი ვისწავლეთ საბიბლიოთეკო საქმეში. მადლობა ყველაფრისთვის, კულტურის სფეროში გაწეული გამორჩეული ღვაწლისთვის. გემშვიდობებით ჩვენო ლია, უფალს ებარებოდე!

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და სამძიმარს ვუცხადებთ დისშვილებს მარინა პოპიაშვილს, მიხეილ და მარინე ალადაშვილებს დეიდის გარდაცვალების გამო.

ყოფილი თანამშრომლების სახელით:
ანგელინა ღორაშვილი,
ჭუჭუნა ჯაგაშვილი, ციური ბენაშვილი.

დისშვილები: მარინა პოპიაშვილი, მიხეილ, მარინე ალადაშვილები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან დეიდის

ელისო (ლია) ფიროსმანაშვილის

გარდაცვალებას.

ლია ხუციშვილი და ცარო მარტიაშვილი იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ლია ფიროსმანაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მარინა პოპიაშვილს.

სააქციო საზოგადოება „არწივის ხეობის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თემურ ჭუჭულაშვილს – ძმის

თენგიზ ჭუჭულაშვილის

გარდაცვალების გამო.

მხატვარ-დიზაინერი ქვემო ქედიდან



„შირაქის“ დღევანდელი სტუმარი ახალგაზრდა მხატვარ-დიზაინერია სოფელ ქვემო ქედიდან. 24 წლის ანა მჭედლურის ნამუშევრები განსხვავებულია, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად ფანქარს იყენებს, შედეგი შთამბეჭდავია. რა გახდა მისი ინსპირაციის წყარო, როგორ განავითარა შემოქმედებითი უნარი და რა გეგმები აქვს ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ანა მჭედლური: „დავიბადე 1998 წელს, დავამთავრე ქვემო ქედის საჯარო სკოლა, შემდეგ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბავშვობიდან ვხატავ. უნივერსიტეტამდე არასდროს მყოლია ხატვის მასწავლებელი. ჩემთვის ვხატავდი და ყოველთვის ვოცნებობდი ტანსაცმლის დიზაინერობაზე, რომელიც შემდეგ ამიხდა კიდეც. უნივერსიტეტში სწავლის დროს პარალელურად ჩავაბარე პროფესიულ – ტანსაცმლის დიზაინზე, რომელიც ერთ წლიან კურსს მოიცავდა. მყავდა შესანიშნავი ლექტორი - დარეჯან გაგნიძე, რომლისგანაც ვისწავლე ხატვის საწყისი ელემენტები - ჩრდილები, ნატურიდან ხატვა და ა.შ. ჩემს ოჯახში არავინ ხატავს, თუმცა მამას ყოველთვის ეხერხებოდა ხეზე მუშაობა. ხისგან ამზადებდა სხვადასხვა ნივთებს. პირველი ინტერესი ღრმა ბავშვობიდან გაჩნდა, სულ რაღაცის დახატვა მინდოდა. ფაქტობრივად, ჩემი ხელი არ ჩერდებოდა. კედლებზე არა, მაგრამ ყველა ქაღალდზე, ნაწერების გვერდით პატარა ადგილი თუ იყო, აუცილებალად რამეს ვხატავდი. ასევე ვხატავდი სახატავ რვეულებში, რომლებიც დღემდე მაქვს შენახული. ვხატავდი სხვადასხვა უცნაურ პორტრეტებს, დილით ვუყურებდი ზალიკო სულაკაურის ტელეგადაცემებს და ვხატავდი მასთან ერთად, ვცდილობდი მიმებაძა, რა თქმა უნდა, არ გამომდიოდა... წლების განმავლობაში უფრო ვვითარდებოდი. მოგვიანებით, საკუთარ თავზე ბევრი მუშაობის შედეგად გამომივიდა. ვფიქრობ, ყველაზე წინ გადადგმული ნაბიჯი კი დიზაინზე სწავლა იყო, რის შემდეგაც არ გავჩერებულვარ. ნელ-ნელა ვხედავდი პროგრესს, რა თქმა უნდა, ეს ერთგვარი სტიმული იყო ჩემთვის, რომ უფრო მეტი გამეკეთებინა.

– რა სიხშირით ხატავ?

– ჩემი ყოველი დილა იწყება ხატვით, რადგან არ არსებობს ისეთი დილა, როცა ხატვის განწყობა არ მექნება. ვმუშაობ რეალიზმში და შესაბამისად ნახატის ყველა დეტალი უნდა იყოს უნაკლოდ შესრულებული და დღეში 5-6 საათს მაინც ვუთმობ. ძირითადად ვმუშაობ გრაფიტისა და ნახშირის ფანქრებით. იშვიათად, აკრილსა და აკვარელში. ფანქარი უფრო სხვა სამყაროა. უფრო დიდ სამუშაო პროცესთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს საოცრად სასიამოვნოა - უყურებდე ,როგორ იქმნება არაფრისგან ყველაფერი.

ქვემო ქედი გამორჩეულია სილამაზით, ფერებით. ისეთი ცა, როგორიც აქ არის, სხვაგან იშვიათად ნახავთ. მზის ჩასვლა შესანიშნავ პეიზაჟს ქმნის, ფერწერულ ტილოს მოგაგონებთ, ამ დროს კავკასიონიც რამდენჯერმე იცვლის ფერს. უზომოდ მიყვარს ეს ადგილები, თვალუწვდენელი სივრცეებით.

ყველა ნამუშევარი გარკვეულ ინდივიდუალიზმს შეიცავს, რომლებიც განსხვავებულ აზრს ატარებს. ალბათ, დროთა განმავლობაში, თვითონ დამთვალიერებელი შეაფასებს და ყველა განსხვავებულ სათქმელს დაინახავს მათში. ვცდილობ, ნახატებმა პოზიტიური განწყობა შექმნას ადამიანებში. უფრო პასტელური ფერები მიყვარს. ფერები, რომლებიც არ ყვირიან. გამორჩეული ფერი არ მაქვს, ყველა ფერი მიყვარს.

– ასევე გაინტერესებს ფოტოგრაფიაც...

– მოყვარული ფოტოგრაფი ვარ. ლანდშაფტის ფოტოგრაფია ჩემთვის ერთგვარი განტვირთვაა. ფოტოგრაფიით 14-15 წლის ასაკში ფშავში ყოფნისას დავინტერესდი. მაშინ საერთოდ არ მქონდა მობილური და ოცნებად მქონდა, გადამეღო მთელი ფშავის სილამაზე და მეჩვენებინა ყველასთვის, გადმომეცა ჩემეული ხედვით აღქმული უნიკალური ბუნება. მომდევნო წლებში ეს ოცნება ამისრულდა და აქტიურად ვიღებდი მთებს. დღემდე ასე გრძელდება, გავდივარ ბუნებაში, ვაკვირდები ყველაფერს, შემდეგ კი - საჭირო მომენტში საჭირო კადრს ვიჭერ. ზოგადად, მთაშიც ვხატავ, მაგრამ ისე ხშირად არა, როგორც ქედში ყოფნისას. იქ უფრო მეტად მთების დალაშქვრით და ფოტოგრაფიით ვარ დაკავებული... დედაჩემია ფშავიდან, კერძოდ მათურიდან. დეიდასთან მივდივარ ხოლმე, რომელიც მეორე დედასავითაა. პაპა ხევისბერი იყო. სამწუხაროდ, მათურის სახლში აღარავინ ცხოვრობს და არც გზა მიდის სოფლამდე, წელინადში რამდენიმე თვეს იქ ვატარებ.

ჩემი ძირთადი პროფესიული მიმართულება დაწყებითების მასწავლებლობაა, თუმცა, ამასთან დაკავშირებით ჯერ არანაირი გეგმა არ მაქვს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე მთელი ჩემი ენერგია ხატვისთვის მიმეძღვნა და მაქსიმალურად დამეხვეწა ნამუშევრები. რაც შეეხება ტანსაცმლის დიზაინს - არც ამ კუთხით ვფიქრობ ჯერ რაიმეს გაკეთებას. პანდემიის პერიოდში დავამთავრე უნივერსიტეტი და ქვემო ქედში რომ დავბრუნდი მივხვდი - თვითრეალიზაციისთვის მეტი დრო მექნებოდა, უფრო მეტს ვიმუშავებდი ხატვის კუთხით და გარემოც ხელს შემიწყობდა ამაში.

გამოფენა ჯერ არ მქონია. რა თქმა უნდა, ვფიქრობ ამაზე, მაგრამ ახლო მომავალში არა. უფრო სამომავლოდ ვგეგმავ. უპირველესად, საკუთარი თავისთვის ვხატავ, შემდეგ კი – ყველასთვის“.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

მერი კოჭლამაზაშვილ-გონაშვილს! ციცო ლეკაშვილ-ტყაბლაძეს!

ღვაწლმოსილ პედაგოგს (მათემატიკოსს), მასწავლებელთა-მასწავლებელს, ქალბატონ მერის, უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს 15 მარტს. გისურვებთ კიდევ მრავალი დაბადების დღე მოგველოცოს თქვენი წარმატებული შვილების ვაჟასა და ბაჩუკის ოჯახებთან ერთად.

მრავალმხრივი ადამიანური თვისებებით შემკობილ ქალბატონს, ციცოს, ჩვენი ასოციაციის აქტიურ წევრს, გილოცავთ დაბადების დღეს - 15 მარტს, წელთა სიმრავლეს, ჯანმრთელობასა და წარმატებებს გისურვებთ თქვენს ქმარ-შვილთან და ერთადერთ ძმასთან - ავთოსთან ერთად.

უღრმესი პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია.

ნაკვეთის დაწვისთვის დაჯარიმდებით!

სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ შამუგიას განცხადებით, ყველა ის ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს გადაწვავს, დაჯარიმდება. ფიზიკური პირისთვის ჯარიმა 1 ჰექტარზე 1 000 ლარი იქნება, იურიდიული პირისთვის კი - 2 000 ლარი.

სანქციების დაწესებას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს, რომელიც მთავრობამ მოიწონა და დასამტკიცებლად პარლამენტს გადაეგზავნება.

„საკითხს ყოველ შემოდგომაზე ვაკვირდებით. სამწუხაროდ, ძირითადად კახეთის რეგიონში, უფრო მეტად დედოფლისწყაროში ფერმერების მხრიდან ხდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ცეცხლის ნაკიდება, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ნიადაგს და ამავდროულად, ძალიან დიდი გამოწვევის წინაშე შეიძლება დავდგეთ ცეცხლის გავრცელების კუთხით. აქამდე არ გვქონდა ქმედითი მექანიზმი ამის საწინააღმდეგოდ. მთავრობამ მოიწონა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების პროექტი, რომელიც წარედგინება პარლამენტს. ამ ცვლილებების მიხედვით, დაწესდება საკმაოდ მკაცრი სანქცია მოსარგებლეებისა თუ მესაკუთრეებისთვის და რა თქმა უნდა, პირველ რიგში იმ პირისთვის, ვინც ამ ქმედებას განახორციელებს. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორი იქნება და შევძლებთ, რომ მავნე პრაქტიკა აღმოვფხვრათ,“ – განაცხადა ოთარ შამუგიამ.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 20.03	სამშაბათი 21.03	ოთხშაბათი 22.03	ხუთშაბათი 23.03	პარასკევი 24.03	შაბათი 25.03	კვირა 26.03
დღე	12°	15°	14°	13°	15°	16°	17°
ღამე	6°	5°	5°	6°	5°	5°	6°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი:
ქალაქი დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.
გაზეთის გამოწერა
წელიწადში – 20 ლარი